თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7702119

ნომერი: AR11116163

თარიღი : 05.11.2025

გაცემის თარიღი : 13.11.2025

გაცნობის თარიღი : 13.11.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის მე-4 მ/რ , კორპუსი N36 -ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კლიმენტ წულაია პ/ნ 29001001415
- მედეა ჩახავას 9 ბინა 21

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 05 ნოემბერს №AR11116163 განცხადებით მომართა კლიმენტ წულაიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 18

სექტემბრის №7633685 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებით №01.14.16.008.136 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2025 წლის 20 ოქტომბრის №7671089 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2025 წლის 03 ნოემბრის №7688580 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებაში და საერთო ფართობად დაფიქსირდა 6924.6 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 3402 კვ.მ., საოფისე ფართობად 505.8 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 1020.9 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 770.6 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 1204.2 კვ.მ., ასევე, სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს დამხმარე ფართობი 21.1 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე ფართობად დაფიქსირდა ღია ავტოსადგომების ფართობი 234.7 კვ.მ. ამასთან, სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები (გარდა, მე-2 და მე-10 სართულების გეგმებისა) ჩანაცვლდა №AR11113836 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე არქიტექტურული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: ავტოსადგომების ფართობად 1204.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1178.7 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 770.6 კვ.მ-ის ნაცვლად 770.1 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 6924.6 კვ.მ-ის ნაცვლად 6898.6 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ წარმოდგენილი გეგმები არ იცვლება, აღნიშნულ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებაში და:
1.1. ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდეს 6898.6 კვ.მ., ავტოსადგომების ფართობად 1178.7 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 770.1 კვ.მ.
1.2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე არქიტექტურული გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2025 წლის 18 სექტემბრის №7633685 და 2025 წლის 03 ნოემბრის №7688580 ბრძანებებთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.